



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თეოდორე III

თეოდორე III, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, დაახლ. 1429–35, ალექსანდრე I დიდის პირადი მოძღვარი. კათოლიკოსად მოიხსენიებს ალექსანდრე I 1429, 1431, 1433 და 1434 სვეტიცხოვლისათვის გაცემულ შეწირულების წიგნებში. 1431 ალექსანდრე I-მა „აგარეანთაგან მიტაცებული“ ლორე აიღო. ბრძოლის წინ პატრიარქს ქართვ. მეომრები დაულოცავს: „...ან იბრძოლეთ ძლიერად, და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსასრული მიიღოთ, ქრისტესთჲს წამებულთა გუერდს მიითუალვით“.

თ. III აქტიურად მონაწილეობდა თემურლენგის შემოსევების შედეგად გაპარტახებული ქვეყნის ეკონ. აღდგენაში: ყიდულობდა ნასოფლარებს, გადამწვარ ადგილებს და ასახლებდა გლეხებს. მის დროს ალექსანდრე დიდმა დაამთავრა სვეტიცხოვლის აღდგენა და განუახლა ძვ. შეწირულობანი, შესწირა ვირშის მონასტერი სოფლებითურთ. ამ დროს მცხეთის საპატრიარქოს შეუერთდა აგრეთვე არმაზის ციხე ეკლესიით და სოფლებით, ჯვრის მონასტერი სოფლებიანად და სხვ.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970; ლომინაძე ბ., XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან, წგ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982.

---